ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №1617430

ნომერი: AR1268368

თარიღი : 25.11.2014

გაცემის თარიღი : 28.11.2014

გაცნობის თარიღი : 10.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამტრედია , N 50 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სამტრედია , N 50 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა სამტრედია , N 50 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ანდრო ორმოცაძე პ/ნ 01023003990
- თბილისი სანზონა კორ. 12 ბ. 37

ორგანიზაცია:
- შპს "პარკეტ სერვის ჯე" კოდი: 202443123

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

# გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე სარეკლამო აბრების განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, სამტრედიის ქუჩა #50, შ.პ.ს. "პარკეტ სერვის ჯე PARQUET SERVICE GE-ს კუთვნილი ფართების ფასადზე სარეკლამო აბრების განთავსების განხორციელებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომლის განთავსება არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური".

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "პარკეტ სერვის ჯე PARQUET SERVICE GE-ს საკუთრებაში არსებული ფართების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014515678 01/10/2014წ. საკადასტრო კოდი N 01.13.05.001.063.03.02.515; ამონაწერი N 882013467830 27/09/2013წ. საკადასტრო კოდი N 01.13.05.001.063.03.02.514; ამონაწერი N 882014314957 23/06/2014წ. N 01.13.05.001.063.03.02.513;ასევე წარმოდგენილი ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, სამტრედიის ქუჩა #50, შ.პ.ს. "პარკეტ სერვის ჯე PARQUET SERVICE GE-ს კუთვნილი ფართების ფასადზე სარეკლამო აბრების განთავსების შესაძლებლობას.

---

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge